



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 116

2022 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის გამოცხადების
შესახებ

„საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს N 176/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N689013, 22.06.2022) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის (შემდგომში კონკურსი) პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის შესახებ კრებვითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8 - ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვრონ ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი - ეკატერინე მიქაუტაძე;
13. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
14. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

